ჩონგურო საქართველოვ, სიმღერაში ჩვენ ვართ ცოცხალთ!

ყორხელი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №24-25 (9447-48) 16-31 დეკემბერი ფასი 80 თეთრი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ამონარიდი სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ერთი წლის ანგარიშიდან

სენაკის მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, 2018 წელს უწყვეტი ტემპით მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებების, ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესი. მაქსიმალური ძალისხმევით ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები.

თვისობრივად გაუმჯობესებული შედეგების მისაღებად მუნიციპალიტეტში მყარი საფუძველი ჩაეყარა კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს ფორმირებისა და ინვესტიციების მოზიდვის საქმეს. მიმდინარე წელსაც განხორციელდა და აქტიურად გაგრძელდება სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები.

ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი ღირებულება ადამიანია. მერიის საქმიანობის ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება.

განხორციელებული პროექტები ჩვენთან გამჭვირვალედ და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

ჩვენთვის პრიორიტეტულია საზოგადოებიდან წამოსული ინიციატივები. დღეს ხალხს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს და შეაფასოს ხელისუფლების საქმიანობა. ჩვენ ღიად ვსაუბრობთ არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე.

საზოგადოებისა და თვითმმართველობის ერთობლივი საქმიანობის კურსი, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლების მოსვლიდან ჩაეყარა საფუძველი, შეუქცევადია და თანმიმდევრულად მუნიციპალიტეტის და ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებას უზრუნველყოფს.

(სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის
2018 წლის ანგარიშის მასალას შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში)

სასიკეთო ცვლილებები იქნება

სრულიად საქართველოს, ქვეყნის გარეთ მყოფ ქართველებს, განსაკუთრებით კი, სენაკში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, დიდი სიყვარულითა და კეთილი სურვილებით ვულოცავ დამდეგ შობა–ახალ წელს.

მჯერა, რომ ახალი წელი, ბევრი სასიკეთო ცვლილებით დაიწყება.

2019 წელი სიხარულის, ბედნიერების, მატერიალური კეთილდღეობის, მშვიდობისა და გაერთიანების წელი ყოფილიყოს ყველასათვის.

2018 წელი იყო დიდი პასუხისმგებლობისა და მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი, ქვეყანას ჰქონდა ბევრი წარმატება, რომლის პარალელურად სენაკის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ვინც გვერდში დაუდგა მმართველ გუნდს და საპრეზიდენტო არჩევნებში პრინციპული არჩევანი გააკეთა.

მხოლოდ ურთიერთმხარდაჭერით, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული სწორი პოლიტიკით, თქვენთან ერთად კვლავ უამრავ წარმატებას მივაღწევთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმანეთის თანადგომით და სიყვარულით შევძლებთ ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მთელი თავისი შემადგენლობით, მომავალშიაც იზრუნებს ჩვენი ქალაქის განვითარებაზე და მოქალაქეების კეთილდღეობაზე .

უფალი იყოს ჩვენი და მთლიანად საქართველოს მფარველი.

კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

შობა -ახალი წლის მადლი გფარავდეთ

ყოველი ახალი წლის დადგომას უკეთესი ცხოვრების იმედი, მშვიდობის დამკვიდრების, ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების განვითარების სურვილი ახლავს თან.

2018 წელი-სერიოზული გამოწვევებისა და გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, წარმატებული იყო, ცხოვრებაში დემოკრატიული ღირებულებების, სიტყვის თავისუფლების, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაძლიერების, ეკონომიკური სირთულეების დაძლევის, რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გატარებული რეფორმების თვალსაზრისით.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ დამდეგ 2019 წელს ყველა სენაკელს, ბავშვებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, ექიმებს, ვეტერანებს, პენსიონერებს, ბიზნესმენებს, კერძო სექტორსა და ფერმერულ მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს, დევნილებს, პოლიციისა და თავდაცვის სფეროს მუშაკებს, საზოგადოების ყველა ფენას. 2019 წელი ყოფილიყოს ყოველი ქართული ოჯახისათვის პრობლემების გადაჭრის, ყოფითი პირობების გაუმჯობესების, სიხარულის, სიკეთის, ბედნიერების წელი.

მჯერა ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება, ეკონომიურად გაძლიერდება, დიდ ევროპულ ოჯახში მრავალმხრივი ასპექტით წარმოაჩენს საკუთარ პოტენციალს, მეტი ყურადღება დაეთმობა ტრადიციების და ისტორიის განვითარებას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ახალგაზრდების განათლებას და დასაქმებას.

ძვირფასო სენაკელებო! ღვთის წყალობა, სიუხვე, სითბო და სიყვარული არ მოჰკლებოდეს თქვენს კერას, იხარეთ, იმრავლეთ, მრავალჟამიერ!

დემურ გაფელია

მშვიდობის, სიკეთის და შენების იყოს-2019

გილოცავთ დამდეგ 2019 წელს! ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სიკეთის და სიყვარულის მომტანი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის! მინდა, თითოეულ თქვენთაგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქალაქისთვის! განვახორციელეთ არაერთი სოციალური, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული და კულტურული პროექტი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა იმ მიზანთან, რომელიც გულისხმობს უფრო განვითარებულ და უკეთეს სენაკს!

ჩავატარეთ ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელშიც მხარდაჭერისთვის, საქართველოს მთავრობის სახელით, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას!

მე კარგად მესმის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არსებობს ბევრი პრობლემა, რომელიც ეტაპობრივ გადაწყვეტას მოითხოვს. ვისურვებდი, რომ 2019 წელი წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს. ჩვენი გუნდი ძალას არ დაიშურებს იმისთვის, რომ სენაკის მუნიციპალიტეტი უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისთვის, ახალი პროექტებისთვის, ტურისტული თვალსაზრისით.

განსაკუთრებით მინდა, მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, ვინც დღეს საქართველოში, სენაკში არ იმყოფება. ასევე გულითადად ვულოცავ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელებს და სენაკში დისლოცირებულ მე-2 ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებს!

მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთპატივისცემით შევძლებთ უკეთეს ქალაქში ვიცხოვროთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ 2019 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობას!

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ღვთის მფარველობა არ მოგკლებოდეთ

სენაკის მოსახლეობას ვულოცავ 2019 წელს.

დაე, ფეხბედნიერი, იმედების და მიზნების ასრულების, სიკეთის და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თითეული სენაკელის ოჯახისათვის.

დიდი ჯილდოა ჩემთვის სენაკის საპატიო მოქალაქეობა, მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი შეაფასა.

შობა-ახალი წლის მადლი და ღვთის მფარველობა არ მოკლებოდეს ჩემს სენაკს და სენაკელებს.

ალექსანდრე ჩაჩიბაია,
სენაკის საპატიო მოქალაქე

სენაკი -2018
ფოტორეპორტაჟი



ᲙᲡᲝᲕᲜᲐ

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲐᲠᲔᲛᲐᲕᲐ

მიდის დრო, ცხოვრება გრძელდება, იზრდება პატარა გოგონა, დედასთან მიმავალ თანატოლებს ჩუმად რომ გააყოლებს სევდიან თვალებს.

ახალგაზრდა მამაკაცს, სადამოს სახლში დაბრუნებულს ჩვეულ თბილ სიტყვებს არავინ შეაგებებს.

ტკივილისა და სიხარულის გამზიარებელ ძმას არავინ ეკითხება რჩევას, ძაძებიდან ჩუმად ისმის გულდათუთქული დედის გოდება.

...და ისევ მიდის დრო, მაგრამ არავის დავიწყებიხარ ძვირფასო ლელა, ცისფერთვალება ლამაზო ქალბატონო. გაიზარდა მშვენიერი მარი, შენსავით ნაზი ხმა და ლამაზი ღიმილი აქვს, ძალიან ჭკვიანი და მოსიყვარულია. ამ ქვეყნად შენს გზას ღირსეული მემკვიდრე ჰყავს, რომელიც მამის თანადგომით ფრთებს შეასხამს შენს ოცნებებს და შექმნის ჯანსაღ მომავალს. გეძახის, გეძებს, ენატრები დედას, შენს ოჯახს და ახლობლებს.

ნათელი შენს არჩეულ გზას, რომელიც 2014 წლის 11 იანვარს აირჩიე. განისვენე მშვიდად, იქ სადაც მართალნი განისვენებენ და სიყვარული სუფევს დაუსრულებელი. შენს ოჯახში მუდამ იციმციმებს შენი სანთელი.

ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
მთავარი რედაქტორი: ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐ
რედაქტორი: ᲛᲔᲓᲔᲐ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ
კორესპონდენტები: ᲛᲐᲘᲐ ᲑᲔᲠᲑᲐᲘᲐ, ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ᲫᲣᲚᲘᲔᲢᲐ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია

„ᲕᲘᲓᲔᲒ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲘᲧᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ. ᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐ“

15 დეკემბერს 15 საათზე ქ. თელავში ერეკლე II-ის სასახლის ეზოში საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია გაიმართა. ცერემონიალი 40 წუთს გრძელდებოდა.

პირველად ქვეყნის ისტორიაში ინაუგურაციაზე ერთად იდგნენ საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილი არის პირველი პრეზიდენტი ქალი კავკასიაში. სალომე ზურაბიშვილმა ფიცის დადების შემდეგ საქართველოს მოსახლეობას და ინაუგურაციაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა.

გთავაზობთ ამონარიდს პრეზიდენტის გამოსვლიდან.

მე ვარ პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

ჩემი პრეზიდენტად არჩევით ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას: უფრო შორს რომ არ წავიდეთ, 100 წლის წინ, დემოკრატიული საქართველოს არჩევნებში ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, - არჩეულ იქნა 5 ქალი პარლამენტარი. ეს ევროპაში მაშინ იშვიათობა იყო!

დღესაც, ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება და თანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვა არ არის.

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შეეგუებით!

ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება. ამ მიმართულებით უფრო მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ პარტნიორებთან და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ასევე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ კუთხითაც მეტი, ძლიერი მხარდაჭერა გვჭირდება.

მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმზე, მზადყოფნაზე, თანამედროვე აღჭურვილობაზე, მტკიცე სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობა და სტაბილურობა არის უმთავრესი პირობა კაცობრიობის წინსვლისთვის. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია სჭირდება არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია კავკასიაში. ჩვენ შეგვიძლია ამ რეგიონში ჩვენი ისტორიული როლის დაბრუნება და ამ პასუხისმგებლობის აღება!

რუსეთმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, უნდა გააცნობიეროს, რომ თუ მას საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად ყოფნა სურს და ამ რეგიონში ნორმალური ურთიერთობების აღდგენას აპირებს, უნდა დაამტკიცოს, რომ სიტყვიერადაც და ფაქტობრივადაც აღიარებს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. ეს აუცილებელია მის მეზობლებთან თანასწორი და მშვიდობიანი კავშირების დასამყარებლად.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო ეკონომიკური პროექტების განხორციელების შანსებს იძლევა. ჩვენ უნდა გავხდეთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა.

ამისათვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ინოვაცია. ეს არის ახალგაზრდების დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნის წინაშე და წარმოადგენს რეალურ პერსპექტივას მომავალი თაობისთვის. მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, გვერდით დავუდგე მათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას.

ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა, - პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს.

ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო. იქ, სადაც არის თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ.

სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები - ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!

მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან, და ისინი უნდა შემოვირიგოთ. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გავლილი გზა გვაერთიანებს, ერთმანეთის ნათესავები ვართ, შერეული ოჯახები გვყავს! უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზები და მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ. დღეს, როგორც არასდროს, აფხაზურ ენასა და იდენტობას დაცვა სჭირდება!

ჩვენს ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და განვითარება. ჩვენ გვაქვს ძლიერი ადამიანური რესურსი, გვაქვს ეკონომიკური პოტენციალი, მოდის შესანიშნავი, ნიჭიერი თაობა. მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე. მე ჩამოვედი, მე დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მჯეროდა და მჯერა! ჩვენ უნდა გვჯეროდეს საქართველოს მომავლის! დამოუკიდებელი, ძლიერი, თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული, ღირსეული ქვეყანა - ეს არის საქართველოს მომავალი!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!”

მუნიციპალიტეტის მერიაში

„ქარი მწყურია მე პირდაპირი„

სენაკის მუნიციპალიტეტის მოწავლეახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე მონატრებულ მაყურებელს მისმა გამორჩეულმა შვილმა, ცნობილმა მსახიობმა, მხატვრული კითხვის დიდოსტატმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ მურმან ჯინორიამ უმასპინძლა. „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ - თითოეული სიტყვის წარმოთქმა მუსიკალური რეჟისურაა, მხატვრული ინტერპრეტაცია, არტისტული კომპოზიცია. მსახიობისთვის ლექსი ხატვაა, მუსიკით ხატვა და ბგერებით წერა, ამიტომაც მონო სპექტაკლის ავტორი, რეჟისორი, ინსცენიერების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი, ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი მურმან ჯინორიაა. სპექტაკლს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ ოთხი პირობითი ნაწილისგან - წელიწადის დროთაგან შედგება და ყველა მათგანში შესულია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ყოველი სეზონი ასოცირდება სხვადასხვა ხასიათისა და სტილის ავტორების შემოქმედებასთან. გაზაფხული - ტერენტი გრანელთან, ზაფხული - გურამ რჩეულიშვილთან, შემოდგომა მისთვის ჩვეული სიჭრელით აერთიანებს ტატო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას. ზამთარი მსახიობისთვის გალაკტიონ ტაბიძესთან ასოცირდება. დასასრულს კი, „მთაწმინდის მთვარე“, ისეთი,ა როგორიც „ჯერ არ შობილა.“

„ნუ მოჭრი – მორთე„

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წინასაახალწლოდ წიწვოვნების ჭრის პრევენციის მიზნით ახორციელებს მასშტაბურ კამპანიას „ნუ მოჭრი - მორთე.“ რომლის მიზანი საპრევენციო აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლებაა. „ნუ მოჭრი - მორთე“ კამპანიას, რომელიც ბუნებრივი ნაძვის ხის მოჭრის პრევენციას ითვალისწინებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად შეუერთდა. დღეს, მოსწავლეახალგაზრდობის სკვერში, სიმბოლურად მოირთო ნაძვის ხე. მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით წინასაახალწლო განწყობა შექმნეს. „ნუ მოჭრი, მორთე“, გარემოზე ზრუნვა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა!

იუსტიციის სასლის მშენემლობა ბოლომდე დასრულდება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. მიმდინარე წლის ბოლოს სენაკის მუნიციპალიტეტს ინდივიდუალური სტილით, არქიტექტურულად და ფუნქციურად გამორჩეული იუსტიციის სახლი დაამშვენებს. იუსტიციის სახლის გახსნის შემდეგ სენაკელებს საშუალება მიეცემათ „ერთი ფანჯრის პრინციპით” ისარგებლონ სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისით, რომლის კონცეფცია სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიწოდებას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მიწესრიგემა გრძელდემა

რეაბილიტირებული და თანამედროვე სტანდარტების მქონე სენაკის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც სს „არქოპოლისი“ ასრულებდა, უმოკლეს ვადებში განხორციელდა. სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ. რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო. „გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და კვლავაც აქტიურად გაგრძელდება. საგზაო ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად მოწესრიგდება ქალაქის ყველა ქუჩაზე და ჩვენს მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება კეთილმოწყობილი გზებით ისარგებლოს.“ – განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ
ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

პოლიფარმაციის სახელმწიფო რეგულაცია- შეხვედრა პროფესორ რუსუდან ჯაშთან.

სახელმწიფო რეგულაციის მთავარი მიზანი პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ექიმის პოლიფარმაციის ფაქტისაგან დაცვაა...

პოლიფარმაცია- ეს არის მდგომარეობა, როდესაც პაციენტის მიერ თვითმკურნალობით ან ექიმის დანიშნულებით, იმაზე მეტი წამლის მიღება ხდება ვიდრე ეს საჭიროა მისი ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად. პოლიფარმაციით გამოწვეული შედეგები უმძიმესია. უფრო მეტიც, სათანადო კვლევების გარეშე წამლების მიღებამ შესაძლებელია ადამიანის გარდაცვალებაც კი გამოიწვიოს.

საქართველოში საკითხის აქტუალობა იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ 2018წლის 16 ივლისს ჯანდაცვის მინისტრმა მიიღო ბრძანება „პოლიფარმაციის მართვის" თაობაზე. ამ ბრძანების საფუძველზე თუ პაციენტს ექიმის მიერ დანიშნული აქვს 5 და მეტი წამალი, ასეთი დანიშნულება ექვემდებარება პოლიფარმაციის ჯგუფის მიერ გადამოწმებას. არასწორი ან დიაგნოზთან შეუსაბამო დანიშნულების დადგენისას კი გათვალისწინებულია სათანადო რეგულაციების ამოქმედება ექიმის მიმართ - გაფრთხილებიდან სალიცენზიო საქმიანობის შეწყვეტამდეც კი.

პოლიფარმაციის მართვისა და ბავშვთა ჯანსაღი კვების საკითხებთან დაკავშირებით ხობში გაიმართა შეხვედრა ხობის, სენაკის, აბაშის პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმებთან. ასოციაცია „უპირველესია არ ავნო"-ს ინიციატივითა(ასოციაციის ხელმძღვანელი პროფესორი რუსუდან ჯაში -პედიატრი, მედიცინის დოქტორი, კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოლოგიის ხელშეწყობის კავშირის დამფუძნებელი) და „ ესტლე"- ს წარმომადგენლის - ქალბატონ მარინა თუთბერიძის მონაწილეობით.

ლექციაზე განხილულ იქნა პოლიფარმაციის გამოვლენის, თავიდან აცილების, დამდგარი შედეგებისა მართვისა და სამკურნალო დანიშნულებების დასაბუთების აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები; ანტიბიოტიკების სწორად დანიშვნის კრიტერიუმები, ბავშვთა სწორი და უსაფრთხო კვების საკითხები,განხილულ იქნა სამედიცინო კლინიკური შემთხვევები, ექიმების მიერ არამიზნობრივადდანიშნული მკურნალობის კონკრეტული მაგალითები (ქეისები).

პროფესორმა ჯაშმა აღნიშნა, რომ ექიმების მხრიდან აუცილებელია მედიკამენტების უსაფრთხოებისა და პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზანმიმართული კვლევის საფუძველზე, წამლის რისკისა და სარგებელის შეფასება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური, პერსონალური დანიშნულებების შერჩევა, მედიკამენტური ანამნეზის ანუ ადრე მიღებული წამლების გამოკითხვის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დანიშნულების შედგენისათვის დამხმარე „პერსონალური წამლის შერჩევის კრიტერიუმების" სქემის გამოყენებას, რაც ექიმებს დაგვეხმარება პოლიფარმაციის მართვაში და დაიცავს პაციენტებს წამლებით გამოწვეული გართულებებისაგან.

პროფესორ რ.ჯაშის რეკომენდაციით პოლიფარმაციის მართვა და დაძლევა შესაძლებელია ექიმისა და პაციენტის მეგობრობით. ჰიპოკრატეს პოსტულატი„ უპირველესია არ ავნო" გვეხება, როგორც ჩვენ ექიმებს, ისე პაციენტებს. პაციენტებმა თვითნებურად არ უნდა ავნონ საკუთარ თავს და ამის გაცნობიერებაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ. ექიმებმა უნდა განვუმარტოთ, რომ ხშირად მათი დაავადების მიზეზი რიგ შემთხვევაში მათ მიერ ახლობლის რჩევით მიღებული ან ექიმის მიერ გამოკვლევების გარეშე დანიშნული წამალია, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მათი ჩვევები, რომელიც ორგანიზმზე არასასურველ ზეგავლენას ახდენს და სხვადასხვა დაავადების სახით უბრუნდებათ. ამიტომ აუცილებელია ექიმებმა ყურადღება გაამახვილონ არამარტო შედეგზე ანუ იმ ჩივილზე, რაც პაციენტს აწუხებს, არამედ მის მიზეზებზე. ეს არის არასწორი კვება, წყლის არასწორი დალევა, ალკოჰოლი, თამბაქო და სხვა მიზეზები, რაც ამცირებს ზოგადად ავადობას და შესაბამისად პოლიფარმაციით გამოწვეული მოსალოდნელ არასასურველ შედეგებსა და ხარჯებს.

ლექციის დროს ქალბატონმა რუსუდანმა ხაზი გაუსვა - ჯანსაღი ცხოვრების წესს, როგორც მედიკამენტური მკურნალობის ალტერნატივას, სწორი ბალანსირებული კვების რეჟიმის დაცვისა და წყლის სწორად მიღების უნარჩვევის გამომუშავების აუცილებლობას, ასევე 2 წლამდე ბავშვების ძუძუთი კვების უდიდეს მნიშვნელობას, რადგან ძუძუთი კვება შემდგომში ბავშვის ჯანმრთელობის უმთავრეს საწინდარს წარმოადგენს და იცავს მას 40 სხვადასხვა წარმოშობის სიმსივნისაგან.

ექიმებს გადაეცათ სწორი კვების რაციონის, წყლის სწორად, ინდივიდუალური დოზირებით მიღების, ორსული და მეძუძური დედის სწორი კვების და ბავშვებისათვის- საშიში საკვები პროდუქტების სქემები.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები:

1. ლუიზა წახნაკია (თეკლათის ოჯახის ექიმი) - ფარმაკოლოგიური საშუალებების დანიშვნაზე ზედამხედველობა მნიშვნელოვანი ბერკეტია პაციენტის ჯანმრთელობის დაზოგვისა და ექიმის კომპეტენციის შესაფასებლად. მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემუშავებული პროტოკოლები, დიაგნოზის შესაბამისი უსაფრთხო, მინიმალური რაოდენობით, დიდი კლინიკური ეფექტისა და ურთიერთშეთვსებადობის წამლებით შედგენილი დანიშნულება მოსახლეობაზე ზრუნვის უდიდესი გამოხატულებაა, ექიმისათვის კი საღი და ეფექტური აზროვნების მოტივაცია.უდიდესი მადლობა ჯანდაცვის მინისტრს და პროექტის ხელმძღვანელს, ძალიან კომპეტენტურ ექიმ-კლინიცისტს, ფარმაკოლოგს, პიროვნებას ქალბატონ რუსუდან ჯაშს ასეთი ყოვლისმომცველი ტრენინგისათვის.

2. ღიანა ხუხუა(Iნოსირის უბნის ოჯახის ექიმი)-პოლიფარმაციის საკითხი აქტუალურია,დროულია აღნიშნული ტრენინგი და იმედია, ეს შეხვედრები გაგრძელდება.

3.ეკატერინე ფიფია-(ახალ სოფლის ოჯახის ექიმი)- სასურველია, რომ ჩატარდეს და დატრენინგდეს სამედიცინო პერსონალი კლინიკური ფარმაკოლოგიის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამით, რაც აგვაცილებს პოლიფარმაციით გამოწვეულ შედეგებს.

სამედიცინო წარმომადგენლების შეხვედრა წარიმართა ურთიერთთანამშრომლობისა და პროფესიონალური დისკუსიის რეჟიმში. ექიმთა მხრიდან გამოითქვა ასოციაცია „უპირველესია არ ავნო"-ში გაწევრიანების სურვილიც, დაისახა სამომავლო ურთიერთობების განვითარების გზები.

სენაკის პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმები მადლობას ვუხდით ქალბატონ რუსუდანს საინტერესო ლექციისა და რეკომენდაციებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა გაგრძელდება.

თეა სახოკია,
II ნოსირის უბნის ოჯახის ექიმი

ნყალი–უნიკალური ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა

იაპონელების მიერ დამტკიცებულია, რომ წყლის დეფიციტის შემთხვევაში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და ვითარდება სხვადასხვა დაავადებები.

ძალიან მნიშვნელოვანია წყლის დალევისთვის სწორი რეჟიმის და დოზის შერჩევა. წყლის მიღების დოზის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად ე.ი.

„თქვენი წონა გაყოფილი 9 ზე" არის შესაბამისი ჭიქების რაოდენობა დღე-დამეში.

დილით, გაღვიძებისთანავე მიიღეთ 2,5 ჩაის ჭიქა წყალი კბილების გახეხვამდე.

• კვებამდე წყლის მიღება საჭმლის გადამუშავებას უწყობს ხელს.
• საკვები მიიღეთ წყლის დალევიდან 45 წუთის შემდეგ.
• საუზმის, სადილის ან ვახშმის შემდეგ 2 საათი არ დალიოთ წყალი, ჩაი და ყავა.

ხანდაზმულებმა ან მაღალი არტერიული წნევის მქონე პაციენტმა, ვისაც არ შეუძლია დილით 2,5 ჭიქა წყლის ერთბაშად დალევა, თავდაპირველად დაიწყონ მცირე ზომით და ნელ-ნელა გაზარდონ დადგენილი ნორმამდე 640 მლ-ამდე.

• 1 ჭიქა წყალი აბაზანის მიღებამდე-არეგულირებს არტერიულ წნევას.
• 1 ჭიქა წყალი დაძინებამდე-თავიდან აგაცილებთ ინსულტსა და გულის ინფარქტს.
• არ იგულისხმება წვენები, ჩაი, ყავა და სხვა სასმელები.

მკურნალობის ამ მეთოდს არ აქვს უკუჩვენება, ერთადერთი დისკომფორტი ამ დროს გახშირებული შარდვაა.

• პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას წყლით მკურნალობის დროს გარკვეული პერიოდი სჭირდება:

მაღალი წნევა -30 დღე, გასტრიტი-10დღე, დიაბეტი-30დღე, დიარეა-10დღე, ართრიტი-პირველი 3 დღის შემდეგ ერთი კვირა დაისვენეთ, მომდევნო კვირიდან კი-ყოველდღე მიიღეთ.

სასურველია წყლით მკურნალობა მთელი ცხოვრების მანძილზე გააგრძელოთ და წყლის რეგულარული მიღება ცხოვრების წესად აქციოთ.

დალიეთ წყალი და იყავით ჯანმრთელი.

საშიში პროდუქტი ბავშვებისთვის

1. საღეჭი და საწუწნი კანფეტები, განსაკუთრებით-მკვეთრი ფერების, ძლიერი სურნელის მქონე -მათში, როგორც წესი, ბევრი საღებავი და არც ერთი ნატურალური ინგრედიენტი არ არის.
2. ჩიფსები, სუხარუკები-ნახშირწყლებისა და ცხიმის ნაზავი, საღებავებისა და გემოს შემცველელების გარეშე მოქცეული.
3. ტკბილი გაზიანი სასმელები-შაქრის,ქიმიისა და გაზების ნაზავი.
4. შოკოლადის ბატონები-კალორიების გიგანტური ოდენობა, ქიმიური დანამატებთან ერთად.
5. სოსისები, ძეხვები, პაშტეტები-გენმოდიფიცირებული ქიმიური დანამატები და ფარული ცხიმები.
6. მაიონეზი-ჯობს, ის შინ დაამზადოთ და ზომიერად გამოიყენოთ.
7. სიროკები (ხაჭოიანი შოკოლადები)-როგორც წესი, მათ შემადგენლობაში ხაჭოს ვერ იპოვით, არის მხოლოდ პალმის ზეთი, მცენარეული ცხიმები და სხვადასხვა ემულგატორი.
8. კეჩუბი სასმელებით-სინთეტური დანამატები,რომელთა უსაფრთხოება ჯანმრთელობისთვის არა დადასტურებული.
9. მარგარინი (სპრედი) შეიცავსკანცეროგენულ ტრანსგენურ ცხიმებს.საკონდიტრო ნაწარმში მასთან ერთად ბევრია ცხიმისა და შაქრის შემცველობა.ამგვარი ტკბილეულობის რეგულარული მოხმარება ერთ-ერთი უმოკლესი გზაა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისკენ.
10. ნაყინი-ხშირად შეიცავს სინთეტიკურ შემსქელებლების და არომატიზატორებს. მისი მომზადებაც, როგორც მაიონეზის, შინ ჯობს.
11. სწრაფი მომზადების ატრია(ე.წ.ლაფსა) იოლად მოსამზადებელი, ადვილად გახსნადი სუფვები და პიურეები-მათშიც არაფერია ნატურალური, მხოლოდ სინთეტიკა და კონსერვანტები.
12. მაგდონალდსის და ვენდის ნაწარმი- მაგდონალსის და ვენდის კვების ნაწარმში აღმოჩენილი ნივთიერება აზოდიკარბონამდი შესაძლოა ფარისებური ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის მიზეზი გახდეს. ორგანიზმში იოდის დეფიციტის შემთხვევაში, აზოდი კარბონამიდი იოდს ანაცვლებს, ამიტომ ორგანიზმი ვეღარ ითვისებს იოდს.ნივთიერება ასევე იწვევს ასთმურ შეტევებს და ალერგიულ რეაქციებს.

რასაკვირველია, ეს სია არ არის სრული, მაგრამ მზრუნველი მშობელი მას უეჭველად გააგრძელებს, თავისი შვილის ჯანმრთელობისა და სწორი კვებისთვის.

ორსული და მეძუძური დედების კვების რაციონი

ძუძუთი კვება დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა!

კვლევებით დადგენილია, რომ 2 წლამდე დედის რძით კვება ბავშვს იცავს 40 სახეობის სიმსივნური დაავადებისაგან მთელი სიცოცხლის მანძილზე!

ლაქტაციის (რძის გამოყოფის) გაუმჯობესებისათვის აუცილებელია დედის სწორი კვება და ბავშვის ძუძუთი ხშირი კვება.6 თვემდე მხოლოდ ძუძუ,შემდგომ ინდივიდუალურად შერჩეული დამატებითი კვება.

დილით, გაღვიძებისთნავე 2,5 ჭიქა წყალი(კბილების გახეხვამდე).

• წყლის მიღების დოზის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად, (თქვენი წონა გაყოფილი 9-ზე = შესაბამისი ჭიქების რაოდენობა დღე-დამეში)
• საუზმის, სადილის ან ვახშმის შემდეგ 2 საათი არ დალიოთ წყალი, ჩაი და ყავა.
• საკვები მიიღეთ წყლის დალევიდან 45 წთ.-ის შემდეგ.
• საკვები მხოლოდ მოხარშული. არაფერი შემწვარი!
• დილა დაიწყეთ შვრიის (ჰერკულესის) ცხელწყალზე მომზადებული ფაფით.

სეზონური ხილითა ან ჩირით. ჩაი უშაქროდ!

• დ\რის რაციონია: 200გრ მოხარშული ხორცი ან თევზი(ნახარში არ გამოიყენოთ) ან ერთი ცალი კვერცხი (ხარშვა 30-40 წთ).
• რძის პროდუქტები: ყველი (ცხელი წესით მომზადებული), ხაჭო, მაწონი. (არაჟნის გარდა).

ფაფები: წიწიბურა, შვრია -წყალზე დამზადებული, მარილისა და შაქრის გარეშე.

ბოსტნეულის სუპი, მომზადება: აადუღეთ წყალი ემალის ქვაბში, ჩაყარეთ წინასწარ გარეცხილი ნიახური ძირებით, სტაფილო, კარტოფილი, ბულგარული, ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი ან იგივე (ჭარხლის გარეშე) და ყვავილოვანი კომბოსტო, ყაბაყი, ბროკოლი, ოსპი(2 ს.კ), ცოტა ნიორი, მწვანილი - კამა, ქინძი. იდუღოს 10 წთ, გაგრილდეს თავდახურულ ჭურჭელში 40 წთ. თეფშზე გადმოღების შემდეგ დაუმატეთ ცოტა მარილი, 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი და ლიმონის წვენი ან მაწონი 1-2 ჩ/კ.

ხილი: სეზონის მიხედვით კვებათ შორის მცირე ულუფებით.

ხორცი, თევზი და კვერცხი უმჯობესია მიირთვათ საუზმეზე და სადილზე, ვახშამი კი უნდა შედგებოდეს ბოსტნეულისაგან ან რძის ნაწარმისაგან.

მიეცით ბავშვს ძუძუ თქვენი კვებიდან 45 ჭუთის შემდეგ!!!

რაყრიონიდან ამოიღეთ:

- ტკბილეული-შაქარი, ნაყინი, ტორტი,ყავა.
- ცხარე, სანებლები, მწნილი, ტომატი, მაიონეზი.
- ხორცის, თევზის ან სოკოს ნახარში.
- ცხიმიანი საკვები, ძეხვეულობა და დაკონსერვებული პროდუქტები.
- გაზიანი სასმელები, ალკოჰოლური სასმენელები, მათ შორის ლუდი.

რუსუდან ჯაში. პედიატრი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი.

ტელ: 593 322 999, დაგვიმეგობრდით facebook.com -„უპირველესია არ ავნო"

ოდამადე

„მე თქვენით ვცხოვრობ უკრაინა და საქართველო"

დიდი ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესით გვზრდიან, ღირსების გრძნობას გვიცხოველებენ, წესის და ადათის პატივმდებლად გვხდიან, შრომისა და სწავლისკენ გვიბიძგებენ, ჩვენში ადამიანს ნატვრისთვალივით ამოამზეევებენ,... რადგანაც ესეთნი დიდბუნებოვნების შუქს ბუნებრივად ასხივებენ და ამ გაყინულ-გაცივებულ ეპოქაში გინდება მსგავსნი მრავლად გვყვანდნენ, რადგანაც ახალგაზრდებმა მათზე მოახდინონ სწორება, ძველგაზრდებმაც გული გავითბოთ, ერთმანეთის წარმატებით გავიხაროთ და ერთმანეთით ვიამაყოთ. სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოიყვანეს საქართველო დღევანდელამდე.

სენაკელი ნუგზარ ბარამია სწორედ ასეთი პიროვნებაა, რომელიც 56 წელია უკრაინაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. „პროფესიონალი ექიმი, სახელგანთქმული სწავლული, გამოცდილი ორგანიზატორი, პროფესორი". აი ეპითეტები, რითაც მას მოიხსენიებენ უკრაინაში.



იგი დაიბადა 1942 წ. 9 ივნისს სენაკში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში. 1963 წელს გაემგზავრა კიევში სწავლის მისაღებად და დაიწყო შრომითი საქმიანობაც. 1972 წელს დაამთავრა კიევის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო კიევის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის განხრით უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე, 1983 წელს დაიცვა დისერტაცია და გადაყვანილ იქნა უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. შემდეგ 30 წელზე მეტი კიევის საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების პოლიტრამვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, სადაც მისი ძალისხმევით მოხერხდა პაციენტთა მომსახურება მსოფლიო სტანდარტების შესატყვისად ყოფილიყო. განყოფილება გახდა ქირურგთა სამჭედლო. პოლიტრამვის განყოფილების ექიმთა პროფესიონალიზმი უკრაინის საზღვრებს გასცდა. მათ თავი გამოიჩინეს ჰუმანიტარული მისიის შესრულებისას მიწისძვრის შედეგად სალიკვიდაციო სამუშაოების დროს თურქეთში (1999წ) ინდოეთში(2001წ) ირანში (2003 წ.), პაკისტანში (2005წ).

ნუგზარ ბარამია 2018 წლის ზაფხულში

პარალელურად ნ. ბარამია როგორც უკრაინის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ქირურგიის კათედრის პროფესორი სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. მისი პრაქტიკული გამოცდილებით გამყარებული სამეცნიერო ნაშრომები ფასდაუდებელია მძიმე ტრამვის მქონე პაციენტების მკურნალობის საქმეში. იგი 2 სახელმძღვანელოს, 303 სამეცნიერო პუბლიკაციის, 42 რაციონალიზატორული წინადადების და 4 გამოგონების ავტორია.

ნ. ბარამიას ასეთი ღვაწლი და დამსახურება ღირსეულადაა შეფასებული, კერძოდ, 1995 წ. მას მიანიჭეს „უკრაინის დამსახურებული ექიმის" წოდება, 2000 წელს გახდა საერთაშორისო პრემიის „ოქროს ფორტუნას" ლაურეატი, 2002 წ. დაჯილდოდა III ხარისხის ორდენით „დამსახურებისათვის"და უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საპატიო სიგელებით, 2007 წ. „იაროსლავ ბრძენის" V ხარისხის ორდენით. მისი სახელი შეტანილია იმ წიგნში, რომელშიც უკრაინის 300 ყველაზე გამორჩეული ადამიანია მოცემული. ის ა. შალიმოვის სახელობის ქირურგიისა და ტრანსპლატოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის საპატიო თანამშრომელია. არის კიევისა და სენაკის საპატიო მოქალაქე.

თვალს ვხუჭავ იმისთვის, რომ დაძინებამდე ჩემს სენაკს მოვეფერო ...

***

ასე დავაბიჯებ ოცნებებში ჩემი ქალაქის ქუჩებში...

ნ. ბარამიას მეუღლე ქალბატონი ნონა ბასილაიაც ექიმია, დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი ნერვოლოგიის განხრით, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, არის შრომების ავტორი.

ვაჟიშვილი – ვახტანგ ბარამია, არის დიპლომატი, ამჟამად თბილისში ცხოვრობს, მუშაობს ინფრასტრუქტურის სააგენტოში დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ჰყავს 2 შვილი –ტასო და ნიკო.

რამდენიმე თვის წინ ბატონი ნუგზარი სენაკს სტუმრობდა. უფრო სწორად საკუთარ სახლში იყო ჩამოსული, მაშინ ვსტუმრობდით მას. ჩვენი საუბარი პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი, ნოსტალგიით დატვირთული, ემოციით გაჯერებული გამოდგა.

გთავაზობთ მასპინძელთან საუბრის მოკლე ვერსიას.

-„მე თქვენით ვცხოვრობ უკრაინა და საქართველო" -- წერს ერთ საიუბილეო ჟურნალში ბატონი ნუგზარი. ჩვენ კი გვეუბნება -- „ვმუშაობდი თუ ვსწავლობდი, ჩემი უმთავრესი საზრუნავი იყო ფიქრი იმაზე, რომ ჩემი ქმედებით საქართველო არ შემერცხვინა. ამიტომ აქცენტი ყოველთვის სიკეთის კეთებაზე მქონდა ორიენტირებული, თუმცა როგორც ადამიანს და პროფესიონალს შეცდომებიც მომსვლია."

მას „აბა დღეს მე ვის რა ვარგე" პრინციპით უვლია ცხოვრების გზა-შარაზე. „ჩემს კლინიკაში გულის ჭრილობით შემოყვანილი 452 ოპერაცია გვაქვს გაკეთებული, რომელთაგან 19 ლეტალურად დამთავრდა. პირადად ათიათასამდე ოპერაციის ავტორი ვარ. პაციენტებთან (და საერთოდაც) გულმართალი უნდა იყო, ყოველთვის მაქსიმალურად ვიხარჯებოდი და შედეგიც მქონდა. ერთმა პაციენტმა მადლიერების ნიშნად ჩემი პორტრეტი შექმნა და მიძღვნა, რომელიც წლები კაბინეტში მეკიდა".



УВАЖАЕМЫЙ НУКЗАР НИКОЛАЕВИЧ!

Сердечно поздравляю Вас с Днем медицинского работника.

От всей души желаю Вам доброго здоровья, счастья, новых тво
нейших успехов в Вашей работе.

С глубоким уважением

МАРШАЛ СОВЕТСКОГО СОЮЗА

11 июня 1978 года

ნათქვამია „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო", ჰოდა ჩვენი რესპოდენტის ქველმოქმედება, პროფესიონალიზმი, დიდბუნებოვნება, საქმისა და ადამიანების სიყვარული, ... დაუნახავი არ დარჩენიათ, სიკეთემ და სუფთა იმიჯმა დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებაში, სამთავრობო სტრუქტურებში (მის საქადალდეში კულიკოვის, მაშინდელი სსრკ-ს მარშლის მოსალოცი ბარათი ინახება),ამიტომაც დამსახურებულად ერგო დიდისა და პატარის სიყვარული, უამრავი ჯილდო და დაფასება. საიუბილეო დღეებს დიდი სიყვარულით აღუნიშნავენ, გამოსცემენ სპეციალურ ნომრებს გაზეთის თუ ჟურნალის, მზადდება სატელევიზიო სიუჟეტები...

ასეთ დაფასებასა და აღიარებას წინ უსწრებდა დაუღალავი შრომა და სწავლა. „სტუდენტობისას (1-2 კურსზე) სატვირთო მატარებლებზე მტვირთავადაც ვმუშაობდი, ცოტა ფული რომ შემეგროვებინა და სტიპენდიისთვის მიმემატებინაო. უკვე მე-3 კურსზე ანესთეზიოლოგად დავიწყე მუშაობაო". ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტშია, იცავს დისერტაციას. „30 წელი დაზიანებათა ქირურგიის განყოფილება პოლიტრამვას ვხელმძღვანელობდი, ამ წლებში გავიცანი მთელი სამედიცინო სამყარო, ა. შალიმოვთან ჯანმრთელობის დაცვის ქირურგიის საატესტაციო კომისიის წევრი ვიყავი 9 წლის მანძილზე"-ასე მოკრძალებულად, შტრიხებში გვიყვება ბატონი ნუგზარი თავის ცხოვრებაზე და აქცენტი ახალგაზრდებზე გადააქვს.

-ჩემი ნატვრა, ოცნებაა ქართველი ახალგაზრდები იყვნენ წარმატებულები, ისწავლონ, წინ წავიდნენ, დაბრკოლებებს არ შეუშინდნენ, იყვნენ თავიანთ საქმეში დახელოვნებულები და აკეთონ კეთილი საქმეები.

მონდომება, სწავლის წყურვილი ყოველ ახალგაზრდას შეუძლებელს შეაძლებინებს. მათი ნიჭი და უნარი სიკეთის კეთებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაშიც უფროსი თაობა უნდა ეხმარებოდეს მათ. მე ყოველთვის ვცდილობდი ახალგაზრდების გვერდში დგომას. მათი წარმატებების გარდა სხვა მოტივი მე არასოდეს არ მამოძრავებდა. ასეთ ფაქტს გავიხსენებ. ერთ ქართველს სწავლა არ უფინანსდებოდა, იმიტომ რომ უკრაინის კანონმდებლობით სწავლის უზრუნველყოფა მხოლოდ ადგილობრივებზე ვრცელდებოდა..

მინისტრთან შეხვედრით მე მოვახერხე იმ ახალგაზრდის დაფინანსება. სრულიად საქართველოდან, მათ შორის სენაკიდანაც უამრავი ახალგაზრდა სწავლობდა და დღესაც სწავლობს, ჩემს კლინიკაში სტაჟირებას გადიოდნენ, მუშაობდნენ, დისერტაციას იცავდნენ, ჩემი შინაგანი მოთხოვნები იყო მათთან ურთიერთობა, საჭიროების შემთხვევაში დახმარება. ისინიც არ მივიწყებენ, ხშირად მეხმიანებიან, მნახულობენ...

ჰუმანური პროფესიის ადამიანს სულიც სათუთი და მოსიყვარულე აქვს. უყვარს ცხოველები, ფრინველები... 13 წელი ვკვებავდი და ვმეგობრობდი ერთ ყვავთანო, ყოველ დილით სახლიდან გამოსულს კარებთან მხვდებოდა „არკაშა" და მანქანის გაჩერებამდე ფრენით მიმყვებოდა, საღამოს ისევ უკან მაცილებდა. ერთ დღესაც გაქრა, დამენანა ძალიან"

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ალექსანდრე შალიმოვი და ნუგზარ ბარამია

ახსოვდა თუ არა ჩვენი გაზეთი, გვიპასუხა: გაგიკვირდებათ, მაგრამ მე „კოლხეთს" კიევშიც ვკითხულობდი. თამაზ კანკია მიგზავნიდა ხოლმეო. მახსოვს ილო წირდვავას რედაქტორობის დროინდელი „კოლხეთიც" დღევანდელმა ბიზნესმენებმა ტირაჟის გაზრდაში ხელი უნდა შეგიწყონ, არ დაიზარონ ჯიბეში ხელის ჩაყოფა" (იცინის)

დააბიჯებს ბატონი ნუგზარი თავის ოდაბადეში ჯარისკაცის მამასავით და წარსულსა და აწმყოს ეფერება. წარსულის რელიქვიას, რესტავრირებულ აკვანს გვიჩვენებს – 81 წლისაა, ამაში გაიზარდეთ მე და ჩემი ძმებიო" (თვალი უბრწყინდება)...

„ღამე რომ ვწვები, თვალს ვხუჭავ იმისთვის, რომ დაძინებამდე ფიქრში სენაკს, ჩემს მშობლიურ სანახებს, ჩემიანებს მოვეფერო, ასე დავაბიჯებ ოცნებებში ჩემი ქალაქის ქუჩებში, ყველა ოჯახში შევდივარ, ყველას ვესალმები, ბოლოს ჩემი სახლის კარებს ვაღებ და ... მენანება, რომ არავინ მეგებება... მაგრამ აქ ყოველ ნივთს მშობლების, ჩემი უსაყვარლესი ადამიანების ნათითარი ატყვია, ირგვლივ მათი აურა ტრიალებს, სკოლაშიც აღმოჩნდები ხოლმე, საოცარი პედაგოგები გვყვანდნენ: ცირა ხოფერია, კლავდია შურღულაია, მიშა ჟვანია, მიხა ჯახუა, არტემ დვამბერია...

დიდი მადლობა ჩემს საყვარელ სენაკს ყველაფრისთვის. 56 წელი უკრაინაში გავატარე და ყველაფერი გავაკეთე რაც შმეძლო, ახალა დროა დაბრუნების:

ოჯახის რელიქვია, 81 წლის აკვანი

კითხვაზე „ახლა როგორია თქვენი სამუშაო დღე – გვპასუხობს: 2 წელია ოპერაცია არ გამიკეთებია, მე მაქსიმალურად ამოვწურე ჩემი თავი, ახლა პედაგოგიური საქმიანობითა და კონსულტაციებით შემოვიფარგლები, აწი ახალგაზრდებმა უნდა სცადონ".

კიევში დაბრუნებული ბატონი ნუგზარი ალბათ შვილიშვილების სახელზე ეზოში გახარებულ ვაშლისა და ბლის ხეებს მოეფერება. გამარჯვების პროსპექტზე ვაჟიშვილის სახელზე მის დაბადების დღეს დარგულ ცაცხვსაც (რომელიც 41 წლისაა უკვე) მიაკითხავს და სენაკზე ფიქრით ისევ ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდება.

„კაცურკაცობის ნიშანი minimum –ი სათნოება კი არ არის, როგორც არცოდვის საზღვარი, არამედ maqsimum-ი რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო". ასეთ ცხოვრებას და მოღვაწეობას კი „დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა და ყოველ კაცს არ მოეკითხება" -- ამბობს ილია.

ბატონებო, იმ კაცთა შორის ეს რომ „მოეკითხება" სწორედაც რომ პირველი ნუგზარ ბარამიაა.

ბატონო ნუგზარ, სენაკის შვილი ხართ, მისი სიამაყე, რედაქციის სახელით მშობლიური ოდაბადედან ახალ წელს გილოცავთ, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ.

ნინო სართანია

„ნიუმედი"-ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება

- როდესაც კლინიკას აფუძნებ უნდა იფიქრო სწორად აწყობილ და ორგანიზებულ მენეჯმენტზე, კვალიფიციურ მედპერსონალზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე- ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა-ექოსკოპისტმა, კლინიკა „ნიუმედის" ხელმძღვანელმა თამარ ღადალაძემ.

მისთვის მედიცინა ბავშვობიდანვე ნაცნობი საფერო იყო. დედის, ცნობილი ექიმის, ნინო გეგენავას მეგობრებთან ურთიერთობამ, სამედიცინო თემებზე მსჯელობამ განაპირობა მისი არჩევანი. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ დედას „ არ ემეტებოდა" ქალიშვილი იმ მომქანცველი შრომისთვის და სტრესისთვის, რასაც ექიმის პროფესია მოითხოვს.

თამარ ღადალაძემ დაამთავრა ქალაქ სენაკის არასახელმწიფო სკოლა „მარიოტა". შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 3 წელი სწავლობდა რეზიდენტურაში. ფ.თოდუას სახელობის კლინიკაში რადიოლოგიის განხრით. ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო და სასწავლო პროცესებში, კონფერენციებში. ნიჭიერი სტუდენტი პროფესორებისა და აკადემიკოსების დიდ მოწონებას იმსახურებდა. ამის შემდეგ გაიარა სტაჟირება „კარაფს მედლაინში"," რის შემდეგაც დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და მუშაობა დაიწყო კლინიკა „ესკულაპში" ექიმ-ექოსკოპისტად.

რამოდენიმე წლის შემდეგ თამარმა გადაწყვიტა დამოუკიდებლად ეკეთებინა თავისი საქმე. კლინიკა „ნიუმედი" თავდაპირველად ნაქირავებ შენობაში განთავსდა. ამჟამად იგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადიაგნოსტიკო აპარატურით ნამდვილად აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს. კლინიკის მიმართულებაა:

- გინეკოლოგიური კონსულტაციები,
-ორსულთა პატრონაჟი,
-გასტროენტეროლოგიური კვლევები,
-ლაბორატორიული კვლევები,

კლინიკა აღჭურვილია G ფირმის ბოლო თაობის აპარატით,3D / 4D საშუალებას იძლევა მოხდეს პათოლოგიების ზუსტი და დროული დიაგნოსტიკა.

„ნიუმედში" შესაძლებელია კოლპოსკოპიური კვლევა - საშვილოსნოს ყელის ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევა, საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე მდგომარეობის დასადგენად, აღნიშნულ კვლევას ატარებს თბილისიდან

მოწვეული მეან-გინეკოლოგი ქალბატონო დარია გოგია. კლინიკას თვეში ერთხელ სისტემატიურად სტუმრობენ დედაქალაქიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები (მამოლოგი, რევმატოლოგი, ნევროლოგი).

„ნიუმედში" ფუნქციონირებს მასაჟისა და ფიზიოთერაპიის კაბინეტი.

„ნიუმედში" მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებიან: გინეკოლოგები - ლიკა გაბუნია, ირინა პშენიჩნაია, გასტროენტეროლოგი -ლელა ნარმანია, ენდოკრინოლოგი - ნანა შენგელია, ლაბორანტი - გურანდა ჭკადუა, მოწვეული ექიმები: დარია გოგია, ნინო ქართველიშვილი, ხათუნა ლეწვერიძე, ნიკა მალაშხია.

-ექიმობა ეს არის პროფესია რომელიც მოითხოვს დიდ ფიზიკურ და სულიერ ძალისხმევას, ახალი ინფორმაციის შესწავლას, სამედიცინო ლიტერატურის კითხვას ყოველდღიურ რეჟიმში, პაციენტებისადმი ზრუნვას, თბილ და ყურადღებიან დამოკიდებულებას მათდამი - ამბობს ახალგაზრდა ექიმი.

თამარ ღადალაძე თავისუფალი დროის დეფიციტს განიცდის, დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ მისი უმთავრესი საზრუნავი 16 წლის ვაჟის - ლუკა გვალიაა. ჩვენი რესპოდენტის მაღალ რეიტიგს განაპირობებს მისი პიროვნული თვისებები - დამოუკიდებლობა, მიზანდასახულობა, საქმის სიყვარული, ახალი ინოვაციების მოძიების, ტექნოლოგიური სიახლეების წვდომის უნარი.

გვჯერა, რომ მისი ინიციატივით დაფუძნებული კლინიკა „ნიუმედი" გაიზრდება, გააფართოვებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, დაასაქმებს უფრო მეტ პროფესიონალს. სწორედ რომ ოპტიმიზმს საფუძველს გვაძლევს პაციენტების სიმრავლე, ექიმების კვალიფიციურობა და პროფესიის ერთგულება.

ლამაზი ქალბატონების ლამაზ კოლექტივს გვინდა მივულოცოთ შობა-ახალი წელი, ვუსურვოთ შვილების, შვილიშვილების, მშობლების ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, ხვავი და ბარაქა, პირადი ბედნიერება, წარმატებები სამედიცინო სფეროში.

მ.ეჯიბია

„საშობაო სიმღერა"

20 დეკემბერს სენაკის № 1 საჯარო სკოლის(დირექტორი ნინო გოგელიძე) ინგლისური ენის დრამატული წრის მოსწავლეებმა (ინგლისური ენის წრის ხელმძღვანელი სოფო მგალობლიშვილი) სკოლის დარბაზში წარმოადგინეს ინგლისურენოვანი სპექტაკლი „საშობაო სიმღერა".

სპექტაკლში მოქმედება ხდება მე-19 საუკუნის ლონდონში. სიძუნწით და ღვარძლიანობით გამორჩეულ მთავარ გმირს, სკრუჯს, შობის დღესასწაული მთელი არსებით სძულს და მას „უსაქმურ ღარიბთა" დღედ მიიჩნევს.

სკრუჯს სწორედ შობის ჯადოსნურ ღამეს გადახდება თავს უცნაური თავგადასავალი – გამოეცხადება გარდაცვლილი მეგობრის სული, რომელიც გაკეთილშობილებისკენ მოუწოდებს, შემდეგ კი შობის სამი სული შემოფარფატდება, რომლებიც სკრუჯთან ერთად მისი ცხოვრების სამ დროში წარსულში, აწმყოსა და მომავალში იმოგზაურებენ...

როლები შეასრულეს: ებენეზერ სკრუჯი – ნიკოლოზ კაჭარავა, მისტერ კრეტჩეტი – ლუკა ბოკუჩავა, სკრუჯის ძმისშვილი – მათე გოგავა, იაკობ მარლი – ცოტნე ეჯიბია, წარსული შობის ასული – ანი ბოკუჩავა, სკრუჯის ახალგაზრდობა – ალექსანდრე ნაჭყებია, სკრუჯის შეყვარებული – ნინო გოგია, აწმყო შობის სული – მარი გოგოლი, მისის კრეტჩეტი – ანი ბოკუჩავა, ტიმ კრეტჩეტი – უტა სიჭინავა, მომავალი შობის სული – ჯემალ ლემონჯავა.

მთხრობელები: ტატა სიჭინავა, ანი გრიგოლავა,ელენე თოდუა, გიორგი ფაღავა. დღესასაწაულის მონაწილენი: სალომე წოწონავა,შოთა გვაზავა, გიორგი წოწონავა.

შემსრულებლები გამოირჩეოდნენ კარგი მეტყველებით, ორიგინალური კოსტიუმებით. სპექტაკლს გამორჩეულ ელფერს სძენდა ქორეოგრაფიული შტრიხები. მის მომზადებაში პედაგოგთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს მხატვარმა ემილ გეგენავამ, რეჟისორმა ვეფხვია გორგოძემ.

სპექტაკლს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები, რესურსცენტრისა და ხელოვნების დარგის მუშაკები.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორმა ირაკლი ადამიამ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დარეჯან ზარანდიამ დარბაზში შეკრებილთ მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი. აღნიშნეს „ მისაბაძია №1 საჯარო სკოლის ინიციატივა, სკოლებში დრამატული წრის ჩამოყალიბება ნამდვილად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, გაზრდის მოსწავლეთა სიყვარულს თეატრალური ხელოვნებისადმი".

დასასრულს სკოლის დირექტორმა ნინო გოგელიძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის, სპექტაკლის მონაწილეებს, ორგანიზატორებს კი მორიგი წარმატებები უსურვა.

მ. ბერბაია

მოღვაწეობიდან 40 წელი

ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა

დილით მუზეუმისაკენ მიიჩქარის საოცრად მშვიდი და თბილი ქალბატონი. მოზომილი, წინდახედული, საქმის ერთგული, მჭერმეტყველი, ტევადი და შინაგანად ამაღლებული - ასე ახასიათებენ მას მეგობრები და ახლობლები. მისი პიროვნული ხიბლი მის მადალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებაშია. ლალი გულუა სენაკის მკვიდრია. მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია საქმის დიდი სიყვარულისა. ქალბატონმა ლალიმ 4 ათეული წელი კეთილსინდისიერად იღვაწა კულტურის დარგში.

12 დეკემბერს ჟული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ცხოვრების 40 წელი", რომელიც ასახავს ლალი გულუას მუზეუმში მოღვაწეობის 40 წელს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, სამხედრო და სამოქალაქო პიროვნებებთან. მის მოღვაწეობას საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოში. ექსპედიციებში მონაწილეობასა და მუზეუმის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მის ჩართულობას. მისი განვლილი ცხოვრების შესახებ საუბრობდნენ: დამირი კუჭავა, გივი მისაბიშვილი, ნანა ფირცხალავა, მარინე აბრამია, გული კირცხალია, გრიალა ანთია, გია ხულორდავა. ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკი დღესაც აქტიურადაა ჩართული სამუზეუმო ცხოვრებაში.

ვუსურვებთ ქალბატონ ლალის ჯანმრთელობასა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

ფოტოგამოფენა ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იფუნქციონირებს 31 დეკემბრამდე.

მ.შონია

არქეოპოლისი–2018

„პატარა ქალაქის" დიდი პოტენციალი

ყოველი სენაკელისათვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უმსხვილესი სამშენებლო კორპორაცია "არქეოპოლისი" სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა განთავსებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი პოტენციალით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით არამარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის უმსხვილეს საწარმოებს შორის ინარჩუნებს ლიდერი საწარმოს სახელს. "არქეოპოლისს" დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. მოგეხსენებათ "გზა მიწის ზედაპირზე გაყვანილი ზოლია, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისათვის". თანამედროვე სიახლეებისა და სიჩქარეების საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გზების კეთილმოწყობას. რაც უფრო კომფორტულია საავტომობილო გზა, მით უფრო ძლიერია ქვეყანა, მით უფრო მეტი ტურისტი სტუმრობს რეგიონს, ქალაქს, მით უფრო სწრაფად ახერხებენ ადამიანები ყოფითი საკითხების მოგვარებას, ტვირთის გადაზიდვას და ა.შ.

ალბათ ყველა ჩვენგანს შეუვლია თვალი სადამოს საათებში ჩვენი ქალაქის ჩრდილოეთით, შემაღლებული ადგილიდან ლამაზ სანახაობად გადაშლილი "პატარა ქალაქისათვის". მოვლილი გაზონები, სკვერები, მარადმწვანე წიწოვანი ნარგავებით, სხვადასხვა საამქროებით, ავტო-სატრაქტორო პარკით, საქვაბე და დამხმარე მეურნეობით, კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობით, ასფალტ-ბეტონის ქარხნებით, "არქეოპოლისი" მართლაც ტოვებს "პატარა სამრეწველო ქალაქის" შთაბეჭდილებას.

საწარმოს დამფუძნებლის და მეპატრონის დემურ გადელიას თავდადებული შრომის შედეგია საწარმოს მაღალი რეიტინგი. თავად საოცრად ორგანიზებული, უდიდესი შინაგანი ძალისა და პასუხისმგებლობის მქონე, მომთხოვნი, თავისი საქმის პროფესიონალი პიროვნება კოლექტივთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რომ გზების დაგება-შეკეთება მოხდეს სწრაფად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და თემებში გამოცხადებულ ტენდერებში, "არქეოპოლისის" გამარჯვებას განსაზღვრავს სამშენებლო სფეროში დაგროვილი მრავალწლიანი გამოცდილება, მეგზეველთა კვალიფიკაცია და მაღალი პროფესიონალიზმი.

სს „არქეოპოლისი"-ს მიერ 2018 წელს მოგებული ტენდერების საფუძველზე შესრულებულ იქნა:

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეს ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის უბნის გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- დამთავრების სტადიაშია ნაკიფუ -ლეწურწუმე -ჩხოროწყუს დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის პატარა ინჩხურის უბანში.
- სოფელ ნაჯახაოში -წმინდა ბარბარეს ტაძართან მისასვლელი გზის.
- სოფელ სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის
- სოფელ თამაკონში მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძართან მისასვლელი გზის.
- სოფელ დოშაყესა და სოფელ დიდი ჭყონის დამაკავშირებელი გზის.

შესრულდა აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების: კილასონიას, ჯარჯიკიას, ჩიქოვანის, აღმაშენებლის, გამსახურდიას ქუჩების, მარანის, სუჯუნის, ზანათის, თხმელარის სოფლების ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

- დამთავრების სტადიაშია აბაშის მუნიციპალიტეტის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სამუშაოები.
- დასრულებულია ხონის მუნიციპალიტეტში 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაციის, ზ.კაკაბაძის ქუჩის და მისი შესახვევის მოასფალტების.
- სოფელ გუბის ცენტრიდან შუა გუბის სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტების და სოფ. ახალშენის ეკომიგრანტთა დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ძალზე მნიშვნელოვანი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტში. წარმატებით მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დასრულდება სოფლის გზებისა და ქალაქის ქუჩების II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დამთავრებულია ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას მიმართულებით ასფალტის საფარის მოწყობა.

წელს ქალაქის 15 ქუჩას: (სტალინის, (მესამე შესახვევი), ჯიხას, კობახიძის, ფურცელაძის, მარჯანიშვილის, ს.შენგელიას, გაბაშვილის, სამტრედიის, დ.აღმაშენებლის, (II შესახვევი) ლოლუას, შავი ზღვის, ჭალადიდელის, ფალიაშვილის, არჩაიას, მშვიდობის) უტარდება მოასფალტებისა და ხელოვნური ნაგებობების სამუშაოები.

* ასევე მიმდინარეობს ცენტრალური ქუჩების(14 დასახელების) დაზიანებული ადგილების ორმოული დამუშავება-შეკეთების სამუშაოები.

- დასრულდა: ხორშის, ნოსირის, საოდიშარიოს, სასირიოს უბნის, კოტიანეთის, ძველი სენაკის, ფოცხოს, ლეძაძამეს, ბეთლემის, ლეგოგიეს საავტომობილო გზების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

მშენებლებმა ნამდვილი ვაჟკაცური შემართებით შეძლეს სამ დღეში ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კვაუთთან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე, მდინარე ტეხურზე სტიქიის შედეგად დანგრეული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად დროებითი სახიდე გადასასვლელის, მასთან მისასვლელი საავტომობილო გზების და მდინარისაგან დამცავი ნაგებობების მოწყობა.

უნიკალური შესრულებით გამოირჩევა ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეორე ნოსირისა და ძველი სენაკის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე, მდინარე ტეხურზე მდებარე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელის ცალკეული ელემენტების, ხიდთან მისასვლელი გზის აღდგენისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები.

ტრადიციისამებრ ფართო მასშტაბიანი საქველმოქმედო ინფრასტრუქტურული დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს და შეჭირვებულ მოსახლეობას.

იმედებით, რწმენით და ახალი ენერგიით ხვდება 2019 წელს „არქეოპოლისის" შრომითი კოლექტივი. მადლობა მათ ნაყოფიერი ნაღვაწისათვის.

ქვეყანაში არსებული სირთულეების, გარკვეული შეფერხების მიუხედავად მათ შეძლეს თავიანთი ვალის პირნათლად შესრულება. ბედნიერ შობა-ახალ წელს ვუსურვებთ „არქეოპოლისის" მეგზეველებს.

მ. ბაღათურია

ნაპირსამაგრი მდინარე ტეხურზე

ცემენტო-ბეტონის გზა

წარმატებული ქალბატონის სასიკეთო მონაპოვარი.

ქალზე უამრავი ლამაზი მოთხრობა, ჩანახატი თუ ლექსი დაწერილა. ბევრი მწერალის, მხატვრისა თუ პოეტის შთაგონების წყარო ყოფილა.. მაგრამ ქალი მაინც არის არსება, რომელიც ღმერთმა სიყვარულისა და პატივისცემისთვის შექმნა. ბედნიერებაა როცა მას შესწევს უნარი იმისა, რომ მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება, იყოს თბილი, მოსიყვარულე და ამავდროულად დამოუკიდებელი და ძლიერიც. საბედნიეროდ ეს მხოლოდ ლამაზად ნათქვამი სიტყვები არ არის. ჩვენს რეალობაშიც არსებობენ ასეთი ქალბატონები, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ქალბატონია ჩვენი რესპოდენტი ქალბატონი ნონა ქადარია.

იგი დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩააბარა მოსკოვის ატომური ენერგეტიკის ინსტიტუტში. მისი როგორც ადამიანის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დიდ მეცნიერსა და დემოკრატს დიმიტრი სახაროვს. 1992 წელს ქალბატონი ნონა ჩამოვიდა საქართველოში და მუშაობდა სხვდასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებში. 2010 წლიდან ხსნის სათემო განათლების ცენტრს და დღემდე არის ამ ცენტრის დირექტორი. პარალელურად იგი ეწევა სამეურნეო საქმიანობას, მოგებული აქვს ფერმერული მეურნეობის რამდენიმე პროექტი.

უფრო დაწვრილებით კი ქალბატონი ნონა თავისი საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ ჩვენს ინტერვიუში მოგვიყვება.

ქალბატონო ნონა თქვენზე ამბობენ: ნიჭიერი, წარმატებული და თავმდაბალი ქალბატონიაო, რას იტყვით საკუთარ თავზე და რა არის თქვენი, როგორც ლიდერი ქალბატონის წარმატების ფორმულა?

ჩემი წარმატების ფორმულაა სიყვარულით საქმის კეთება. მე ასე მგონია, ადამიანი ყველანაირ საქმეს უნდა აკეთებდეს სიყვარულით და ამასთანავე გასცემდეს მას. მერე კი ეს სხვადასხვა სახით უბრუნდება ცხვრებაში, კარგი მეგობრებით, სიყვარულით და წარმატებული საქმიანობით.

ჩვენთან საუბარში თქვენ ბრძანეთ, რომ ძალიან ცოტას საუბრობთ ოჯახზე და მაინც... ორიოდე სიტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

დიახ, ვცდილობ ცოტა ვილაპარაკო, მაგრამ როგორც ყველა ქალი თვლის, ოჯახი უპირველესია და ძალიან ბედნიერი ვარ ამ მხრივ. მყავს მეუღლე და ორი შვილი. გოგონა არის ტექნოლოგი და მუშაობს უცხოურ ორგანიზაციაში. ვაჟი სწავლობს უნივერსიტეტში აგროინჟინერიაზე. ხოლო მეუღლე ენერგეტიკოსია, ასევე დაცული აქვს ხარისხი და ამჟამად მუშაობს კაზრეთში ოქროს წარმოებაში. ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილები პირველ რიგში კარგ ადამიანებად აღიზარდონ. ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის მათი პირადი ბედნიერება და თვითრეალიზება, ეს არის ყველა აღიარებაზე მაღალი საფეხური.

როგორც ცნობილია თქვენ, ბრძანდებით სათემო განათლების ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი. პარალელურად კი ეწევით ფერმერულ საქმიანობასაც. თუ შეიძლება გვიამბეთ ამ ცენტრის შექმნის პრიორიტეტებზე და თქვენი ფერმერული საქმიანობის შესახებ?

ძალიან დიდი შრომის შედეგია სათემო განათლების ცენტრის შექმნა, რომელიც 2010 წელს გაიხსნა. მდებარეობს სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე. ეს ადგილი ჩემთვის არის შემოქმედებისა და სიცოცხლის წყარო. შემიძლია ვთქვა, რომ აქ ვატარებ დროის უმეტეს ნაწილს. ვცდილობ დავეხმარო დევნილ ადამიანებს და შევუმსუბუქო ცხოვრება. დღესაც აქ 35 ადამიანი გვყავს დაბარებული ტრენინგზე. ვასწავლით მეწარმეობის საფუძვლებს. ჩემი ძირითადი მოტივაცია არის სწავლა. ადამიანმა მუდმივად უნდა შეიძინოს ცოდნა, რომ განვითარდეს. ცენტრში დასაქმებული გვყავს 6 ადამიანი. გვყავს მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებს. ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა უფასოდ ისარგებლონ ინტერნეტით და ივარჯიშონ ფიტნეს დარბაზში. ცენტრში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და გასართობი ოთახი, სადაც შეუძლიათ გაეცნონ ლიტერატურას. ყოველ პარასკევს გვყავს მოწვეული ექიმი ქალბატონი ელვირა შარანგია, რომელიც უფასო სამედიცინო კონსულტაციებს უწევს მოსახლეობას.



9 წლის განმავლობაში ჩვენთან თორმეტიათასმა ადამიანმა გაიარა გადამზადება სამოქალაქო განათლებისა თუ პროფესიული კუთხით. შემიძლია ვთქვა, რომ ყველანაირად ვცდლობთ ადამიანებს მცირედით მაინც დავეხმაროთ. სამწუხაროდ ეკონომიკური ხელშეწყობა დიდად არ შეგვიძლია, მაგრამ როცა სახელმწიფო აცხადებს რამე საგრანტო კონკურსს ჩვენ ვეხმარებით მსურველებს ბიზნეს გეგმების შედგენაში, ვუწევთ კონსულტაციებს და ასე შემდეგ.

რაც შეეხება ჩემს ფერმერულ საქმიანობას მოგებული მაქვს რამდენიმე პროექტი ფერმერული მეურნეობის მხრივ. ყველაზე წარმატებული ჩემს შემთხვევაში კი აღმოჩნდა რძის ქარხნის აღჭურვა საჭირო დანადგარებით სენაკის მუნიციპალიტეტში. ვერ ვიტყვი, რომ ვმუშაობთ ევროპული სტანდარტით და ძალიან მაღალი დონე გვაქვს, მაგრამ მინდა ვთქვა რომ გავდივართ ASCII-ის სტანდარტით და ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვაწარმოებთ სუფთა პროდუქტს: ყველს, სულგუნს, არაჟანს, მაწონს და ასე შემდეგ, ვაპირებთ გაფართოებას. ჩვენი პროდუქცია ჯერ მხოლოდ თბილისის სუპერმარკეტებს მიეწოდება, მაგრამ ვფიქრობთ რომ ადგილობრივ ბაზარზეც მალე გავალთ. ჩვენ ვმუშაობთ სხვა სტანდარტებითა და ტექნოლოგიებით, გვყავს დაქირავებული მუშახელი, ვაწარმოებთ მაღალი ხარისხის პროდუქტს და შესაბამისად გვაქვს ცოტა ძვირიანი, მაგრამ სუფთა პროდუქტი.

ზოგადად სულ ვცდილობ, ყველა დავარწმუნო, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს თუკი მოინდომებ და მუდმივად იქნები ახლის ძიებასა და სწავლაში.. ჩემი პირადი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. როდესაც მოვიგე ეს პროექტი. დამაფინანსეს 400 ათასი ლარით. ისე დავიწყე საქმე რომ მე თანხა არ მქონია. ეს იყო ჩემი დიდი სურვილის, ახალი საქმის გამარჯვება და სტიმული რომ კიდევ უფრო დიდ საქმეებს შევეჭიდებოდი.

ნოემბრის თვეში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ტერიტორიაზე აღინიშნა ფერმერთა დღე. გვიამბეთ როგორ ჩატარდა ღონისძიება და რამდენად კამყოფილი ხართ მონაწილეობის მიღებით?

მისასალმებელია და ძალიან კარგი პრეცენდენტია, როცა ერთ სივრცეში იკრიბებიან სხვადასხვა სფეროსა და მიმართულების ადამიანები და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. ვფიქრობ სამეგრელოსთვის ეს არის ერთგვარი სტიმული, რადგან პირველად აღინიშნა ფერმერთა დღე. ძალიან .დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის ქალბატონ ნინო ზამბახიძეს და სხვა ორგანიზატორებს. სამწუხაროდ ხშირად არ გვაქვს ეს ფუფუნება, რომ საკუთარი ნაწარმი ასე შემოქმედებთად გავიტანოთ და ვანახოთ ხალხს. აუცილებელია რომ ხალხმა შეიგნოს, მხოლოდ უცხოური არ არის კარგი და ლამაზი, ჩვენც გვაქვს ბევრი საამაყო. მე პირადად ეხლა ვცდილობ მოვიძიო ძველი მეგრული ტექნოლოგიებით დამზადებული რძის პროდუქციის მეთოდები, ზოგი რამ ბაბუაჩემის მონათხრობიც მახსოვს. ზოგადად ვთვლი, რომ ასეთი ტიპის გამოფენებში ყველა ფერმერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან ეს არის ჩვენთვის ახლის შექმნის დიდი სტიმული.

ქალბატონო ნონა თქვენ, ასევე ბრძანდებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი. რამდენად ეხმარება ეს საბჭო ადგილობრივ თვითმმართველობას მოსაგვარებელი პრობლემების დაძლევასა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში.?

ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო ეს შემოთავაზება. მე და ბატონი ლევან კუპრეიშვილი 10 დღიანი ვიზიტით ვიმყოფებოდით გერმანიაში ჩემი დამფინანსებელი ორგანიზაციის მოწვევით, სადაც ჩვენ გავეცანით როგორ მუშაობენ გერმანული სახალხო უნივერსიტეტები და როგორ არის ამაში ჩართული ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. მე და ბატონ ლევანს გვქონდა დიალოგი ზოგადად სენაკში არსებულ სხვადასხვა ტიპის პრობლემებზე. სწორედ აქედან გამომდინარე წარმოიქმნა იდეა, რომ ბატონ მერს ამ საბჭოს წევრად მოვეწვიე. ჩვენ ერთი შეხვედრა უკვე გვქონდა მუნიციპალიტეტში და გავიცანი მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებიც არიან პატივსაცემი, გამოცდილი ადამიანები. ზოგადად საზოგადოების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე მნიშვნელოვანია რომ თანამდებობის პირები არ გამოიკეტონ კაბინეტებში და გაიგონ ხალხის ხმა. ბატონ ლევანს არ უჭირს ხალხთან ურთიერთობა, მაგრამ ვფიქრობ ჩვენი მიტანილი სატკივარი და აზრები მისთვის გასათვალისწინებელი იქნება.

ყველა ადამიანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. თქვენს შემთხვევაში რას თვლით თქვენს ძლიერ და სუსტ მხარედ?

ჩემი სუსტი მხარე არის ის, რომ ვარ ძალიან გულჩვილი და ამის გამო ძალიან ბევრჯერ მინანია ცხოვრებაში, მაგრამ ვერ მომიშლია სამწუხაროდ ეს ჩვევა. რაც შეეხება ჩემს დადებითი და ძლიერ მხარეს არის სიყვარული და დადებითი განწყობა ადამიანებისადმი, აგრეთვე შემწევს უნარი პატიებისა. სწორედ ამით ვარ ძლიერი და გამარჯვებული.

რას ეტყოდით და რა რჩევას მისცემდით იმ ქალბატონებს, რომლებიც არ არიან რეალიზებულნი საკუთარ პროფესიაში და რომლებიც საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული?

ვურჩევდი რომ გამოვიდნენ სახლებიდან. არ არის სავალდებულო რომ იმუშაოთ თქვენი სპეციალობით. მაგალითად მე სპეციალობით ვარ ინჟინერ-ფიზიკოსი ატომური ენერგეტიკის კუთხით. თავდაპირველად 8 თვის განმავლობაში ვმუშაობდი ფიოდოროვის სახელობის თვალის კლინიკაში ინჟინრად, მაგრამ ჩავთვალე რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო. საერთოდ არ მქონია იმის პრობლემა რომ შემეცვალა ჩემი პროფილი. გაგიკვირდებათ და ხანდახან რძის ქარხანაში მივდივარ შაბათ-კვირას და ვერთვები იქაურ საქმაინობაში, თავად ამომყავს ყველი, ვამზადებ სულგუნს და ასე შემდეგ. არ მაქვს ის შეზღუდვა რომ მხოლოდ ჩემი პროფესით უნდა ვიმუშაო. მთავარია მოვინდომოთ და ძალიან ბევრი სფერო არსებობს თვითრეალიზების.

რას გვეტყვით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?

ამ ეტაპზე დაკავებული ვარ ერთი ძალიან დიდი ბიზნეს იდეით, რასაც ქვია ჩირის ქარხანა და სამაცივრე მეურნეობის მშენებლობა. გარდა ამისა რათქმაუნდა ამ ცენტრის კიდევ უფრო განვითარება. ძალიან მალე რამდენიმე პროექტს ერთდროულად ვიწყებთ და ვფიქრობთ, რომ ეს პრეცენდენტი ბევრი ადამიანის ცხოვრებაში იმედის შუქს შეიტანს.

იანვრის თვიდან ვიწყებთ ძალიან საინტერესო პროექტს, რომელსაც ჰქვია დასაქმების შათლი. უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, როცა ამ პროექტის პრეზენტაცია დაიგეგმება. გვაქვს კიდევ 6 პროფესიული კურსი, რომელიც მორგებული იქნება სენაკის მუნიციპალიტეტში დასაქმების მსურველი ადამიანებისადმი. ჩვენ დაახლოებით ვიცით სად არსებობს პრობლემები, რომელი სახელობო კურსებია იმისთვის საჭირო რომ ადამიანებმა განივითარონ საკუთარი უნარები და გაიუმჯობესონ დასაქმების შესაძლებლობები. 15 იანვრიდან ვხსნით მინანქრის და ხელსაქმის კურსებს. მოკლედ ვართ მუდმივად ახლის ძიებაში და დამეთანხმებით რომ ეს ძალიან კარგია ყველასთვის.

სიყვარული ადამიანების მიმართ და ზრუნვა მათზე, უშრეტი ენერგია მუდმივად ახალი ინოვაციების ძიება და ოპტიმიზმი არის თვისებები, რომელიც გააჩნია ჩვენს რესპოდენტს.

რაოდენ სიმბოლურადაც არ უნდა მოეგეჩვენოთ ინტერვიუს ჩაწერის დღე დაემთხვა ქალბატონი ნონას დაბადების დღეს. ამ ლამაზი ქალბატონის ირგვლივ თბილი და სიყვარულით სავსე გარემო დაგვხვდა. ადამიანები, რომლებიც გულითადად ეხმარებიან ქალბატონ ნონას თავის საქმიანობაში და დიდი სიყვარულით ულოცავდნენ მას დაბადების დღეს.

ჩვენ კი, რედაქციის სახელით ვულოცავთ ამ შესანიშნავ ქალბატონს იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ ლამაზ და წარმატებულ დღეებს ცხოვრებაში.

მარიკა მიქაბერიძე